ოქმი:**ო12. 3723121001**
თარიღი:**01/05/2023**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 28 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. მელუა, გ. სირაძე, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე, ნ. სარჯველაძე, ვლ. ხავთასი, ხ. თავდიშვილი, ქ. ვასაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უპატრონო და მაწანწალა ძაღლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ი. გაბედავა

4. ა(ა)იპ ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის ,,მშობლების შრომითი მიგრაციის ზეგავლენა მათი არასრულწლოვანი შვილების

აღზრდისა და განვითარების ფაქტორებზე“ განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

5 . კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი- ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, კონკრეტულად შეტანილ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, ვრცლად ამავე საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, აღინიშნა, რომ კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ქ. ოზურგეთში არსებულ სოციალურ თავშესაფარში წყალ-კანალიზაციის დაზიანებული ქსელის რეაბილიტაციის და შენობის სარდაფის დატბორვის პრობლემებით, რის მოწესრიგებასაც დიდი ხანია იქ მცხოვრები მოქალაქეები ითხოვენ. კოლექტიური განცხადებაა შემოსული სოფელ მერიაში არსებულ საცხოვრისში სახურავის რეაბილიტაციის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე მოსმენა.

მომხსენებელმა, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „მომსახურების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უპატრონო და მაწანწალა ძაღლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ“, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ი. გაბედავამ, რომელმაც განაცხადა, რომ გასულ წელს, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის შედეგად, მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 330-უპატრონო ძაღლს(ვაქცინაცია, კასტრაცია, სტერილიზაცია-დაფინანსება 39 ათასი ლარი), მიმდინარე წლის 7 აპრილს გამოცხადდა ტენდერი 45 ათას ლარიან მომსახურებაზე(350-ძაღლი), ამასთან აღინიშნა, რომ დაგეგმილი ღონისძიებები სრულად ვერ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ინფორმაცის სრულყოფა და მისი ჯერ ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

მომხსენებელმა, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ა(ა)იპ ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის ,,მშობლების შრომითი მიგრაციის ზეგავლენა მათი არასრულწლოვანი შვილების აღზრდისა და განვითარების ფაქტორებზე“ განხილვის შესახებ-ინფორმაცია, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვის მიზნით.

მომხსენებელმა, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესხებ.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2.N 2 და 3 საკითხები სრულყოფის შემდეგ მოსმენილი და განხილული იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე.

3. N4 საკითხი მოსმენილი და განხილული იქნას ბიუროს სხდომაზე.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი